№ 36. წელიწადი მეორე მთავრობის მოამგე წელიწადი მეორე ყოველდღიური გაზეთი ფასი 50 ჯ.

საქართველოს რესპუბლიკა

პარასკევი, 14 თებერვალი 1919 წ.

საქართველოს რესპუბლიკის ოფიცერთა ეკონომიური საზოგადოების წევრთა ახლო მომავალში საზოგადო კრების გამო, ზედამხედველმა კომიტეტმა დადგინა საზოგადო კრებისთვის სამსჯელოს დრას მოახდინოს საწევრო წიგნაკების გამოცვლა ახლებით.

წიგნაკების გამოცვლა მოხდება 17 ფებერვლიდან 17 მარტამდე, საზოგადოების ბინაზე, კირაკ ქუჩაზე, ყოველ დღე გარდა უქმეებისა, დილის 10—3 საათ. და საღამოს 5—7 საათამდე. წიგნაკების გამოცვლისას საზოგადოების წევრები და ხელის მომწერნი წარმოადგენენ:

1. საზოგადოების წევრები და ხელის მომწერნი—ქვრივები, სასურსათო წიგნაკს, ანგარიშის საბაიო წიგნაკს და პირადების მოწმობას, 2. ის პირნი, რომელთაც წიგნაკის პატრონი ინახავს: ქალიშვილი გათხოვებამდე, ჯაჯი უშლოები, უშლოები და და მის და ბერუკუ დრამდ მოხუცებული დედა და მამა, სასურსათო წიგნაკს, ანგარიშის საბაიო წიგნაკს, პირადების მოწმობას და გომისრის ან სახლის კომიტეტის მოწმობას, რომ მათ ინახავს წიგნაკის პატრონი.

წიგნაკის ფასი 1 მან. 18 მარტიდან მკელი წიგნაკებით საქონლის მიცემა შეწყვეტილი იქნება.

248 3—1

წიგნაკების სარეგისტრაციო კომისია.

მთავრობის მოამგე, ყოველდღიური გაზეთი

(ოფიციალური და არა ოფიციალური განყოფილებით)

„საქართველოს რესპუბლიკა"

მიიღება ხელის მოწერა 1919 წლისათვის.

ხელის მოწერის ფასი: ერთი წლით—120 მ. ნახევარი წლით—60 მ., ერთი თვით 10 მ. ცალი ნომერი ყველგან 50 კაპ. საიალდებულო განცხადებანი დადგენილი ნიხრით, ცერილო განცხადებანი წერილებით გაზეთის ხელის მოწერა მიიღება დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. მისამართი: ქ. № 6, ტელეფონი 1—82.

სახელმწიფო თეატრი

ოპერა.

ა. ი. ეფხიშვილის დირექცია.

შაბათს, თებერვლის 15-ს, შვიდმერვის ბენეფისი. შვიდმერვის, სპიკერის, კანშინისკრონსკისიეცკის და დემიან ნოის მონაწილეობით

ა ი დ ა

ბოლოებში, რომლებიც ოტელოზეა აღებული, გამოდგება აიდაზე. კეირას, თებერვლის 16-ს დილით კურმატოვის ბენეფისი. ორლოვას, მარკოვას, ისაევის, ისკანდერისა და კურმატოვის მონაწილეობით 1. „ჯაბაბები". 2. წითელი ქედი, 3. კოკონეთი მოლორსოსიანი. საღამოს დირიჟორ ჩერებინის ბენეფისი. საბანეევას, ლაგუსკის, იანსას, მოროზოვას, სარაჯიშვილის, ზალიასკის, ვორონსკის, ისეცკის მონაწილეობით „ხელმწიფის სამსახური" სამმოქმედო, თებერვლის 18-ს ქ. ა. სპ. ტკოს ბენეფისი. საბანეევას, სპიკერს, იანსას, ზალიასკისა და ნიკოლსკის მონაწილეობით „მისიონი". 246

დამფუძნებელ კრების

მთავარი საქალაქო საარჩევნო კომისიისგან.

ტფილისის მთავარი საქალაქო საარჩევნო კომისია აცხადებს საყოველთაოთ, რომ დამფუძნებელი კრების არჩევნები მოხდება ამა წლის 14, 15 და 16 თებერვალს, დილის 9 საათ. სალამოს 9 საათამდე შემდეგ ადგილებში:

1-ლ ქომისარიატში

1	საარჩ. უბანი—	ქართულ ენოვნისტიტუტის შენობაში, ვაკე	
2	„	„	საბურთალოს თეატრში.
3	„	„	ქალების პირველ დაწყებით სასწავლებელში, ოლღას ქ. ს. მახაბლისა, № 52.
4	„	„	პირველ მოპრიგებელ სასამართლოს განყოფილებაში.
5	„	„	სამაყოთხმოცელი სასწავლებელში, გუნიბის ქუჩაზე.
6	„	„	მეოთხე ქალთა გიმნაზიაში, ანასტასიას ქ. 23.

2-ე ქომისარიატში

7	„	„	მინიტრის თეატრში, ს. წელიკ-ბარანცისა, ვერის დიმ.
8	„	„	არტისტების საზოგადოების დარბაზში, გოლოვინის პრ.
9	„	„	დარიჩალ თეატრში, ზუბალაშვილის სახლი, სასამართ. ქ.
10	„	„	ტფილისის საქალო სასამართლოს შენობაში.

3-ე ქომისარიატში

11	„	„	პირველ ვაჟთა გიმნაზიაში. გოლოვინის პროსპექტი.
12	„	„	სამოქალაქო სასწავლებელში, ს. ალფრაგისა. ბებუთოვის ქ.
13	„	„	სავაჭრო სასწავლებელში, სახლი მასთანაშვილი. ბებუთოვის ქ.

4-ე ქომისარიატში

14	„	„	სახელოსნო გიმნაზიაში. სალდათის ბაზარი.
15	„	„	ნაზათაშვილის ქარგალიანი, სოხეთ „ბაზარი № 62.
16	„	„	სოხეთის ს. ქ. ელენიშვილი სამოგადოების დარბაზში, აბასანდის მოედანზე.

5-ე ქომისარიატში

17	„	„	მამაძალითა აფთიაქთრიაში, პოტანიკურ ბულვარზე.
18	„	„	პუშკინის სამალაქო სკოლაში, გორჩაკოვის-ქუჩაზედ.
19	„	„	ტოლეს ქარხნის კანტორაში, ეორისთვის ქუჩაზედ. არტუნის მოედანი.

6-ე ქომისარიატში

20	„	„	ნადიდენის თავმჯდომარის შენობაში, რეიტარის ქუჩაზედ.
21	„	„	ქალაქის ახალ სამკოის კანტორაში.
22	„	„	ძმათა ტ.-ბრძანების ნაკეთის ანბ. კანტორაში, კახეთის ქ.
23	„	„	სამინისტრის სკოლაში, კახეთის ქ. № 46.
24	„	„	მეორეშის თეატრში, თელავის ქუჩაზედ.
25	„	„	ცარიელ ღრმანში, კახეთის ქუჩაზედ, სადაც ამოფენებია მოსაშხარეთა ეკონომ. საზოგადოების განყოფილება.

7-ე ქომისარიატში

26	„	„	არაკისიანის თეატრში. კოსტანტინეს ქუჩა.
27	„	„	მეზეთე ვაჭრა ოქაბრის გიმნაზიაში. პეტრე პაველს ქუჩა.
28	„	„	ცარიელ მაღაზიაში. კუთხე ლაბარეთისა და ბიეის შეს. ს. მანგლისის № 57.
29	„	„	მარნის სავაჭრო სკოლაში.
30	„	„	ავლაბრის კლუბის სამთოის შენობაში, კახეთის ქუჩა, 1.

8-ე ქომისარიატში

31	„	„	ალტმანის სახლში, კუთხე პრივეტკრონინის და კახეთის ქუ.
32	„	„	მალაქიანის სახლ გიდეკების სკოლაში, დესიმონოვის პოედ.
33	„	„	მე-4 ეორიგებელ სასამართლოს განყოფილებაში, სერფენისკის ლერთა.
34	„	„	პირველ კომერციულ სასწავლებელში, 19 თებერვლის ქ.

9-ე ქომისარიატში

35	„	„	პეტრე დიდის სახელობის სამოქალაქო სკოლაში, ნერკეზოვილის ქუჩა № 29.
36	„	„	ბომბათა კლუბში, ერთობის უბანი.
37	„	„	მე.-მე მოპრიგებელ სასამართლოს განყოფილ. ტატიგენის ქუჩა.
38	„	„	კათოლიკურ სავაჭრო სკოლაში, ნიკოლოზის ქუჩაზედ, 59.
39	„	„	სახელოსნო კლუბის შენობაში, მიხეილის პრ.

10-ე ქომისარიატში.

40	„	„	ავლაბრის თეატრიაში.
41	„	„	ენდუ ჯიანცის თავმჯდომის ქარხნის კანტორაში, ეორგიევის ქ., 8
42	„	„	2 ეორიგებელ კლუბში (ეორგ. ბარიეუნის კლუბი) მიხეილის პრ.
43	„	„	ზუბალაშვილის სახლში სახლი, კირონი ქუჩაზედ.

11-ე ქომისარიატში.

44	„	„	საცირკო სკოლაში, კუთხე ჩერკეზიშვილისა და პაველისკის ქუჩებისა.
45	„	„	სამოქალაქო სკოლაში, ჩერკეზიშვილის ქუჩა, ს. ბოტკინი.
46	„	„	ნაძალადევის თეატრში, ჩერკეზიშვილის ქუჩაზედ.
47	„	„	სასურსათო დეპარტამენტში ს. მიტეველის. ლიდვის ქ., 24.

12-ე ქომისარიატში

48	„	„	I დემოკრატიულ კლუბში, მეშტატელი, შერმეტევის ქუჩა.
49	„	„	რკინის გზის სამოქალაქო სასწავლებელში.
50	„	„	ყოფ. სავრიანთა მოედნის კანტორაში.
51	„	„	ავლაბრის წყალ სადენი.
52	„	„	კოლონია ალექსანდრეოვკა.

საარჩევნო კომისია კიდევ ერთხელ მოგაგონებთ, მოვალეები, რომ ვისაც პირადობის ბარათი არ მიგიღია და სიაში კი არის შეტანილი, უნდა მოითხოვოს ყუთთან თავისუფალ საარჩევნო ბუბანში არჩევნების დღეებში.

254 1—1

საქალაქო საარჩევნო კომისია.

ქართველო მებრძოლნო!

ქართველთა ლეგიონი იწვევს მოხალისეებს

ახალციხეში მოღალატეების წინააღმდეგ საბრძოლველად!

მაგულიშვილნო!

ერთხელ კიდევ დაუმტკიცოთ მტრებს ქართველი ხალხის გმირობა. მოიყარეთ თავი ლეგიონის დროშის ქვეშ.

მისამართი: დიდი მთავრის ქუჩა, მეორე ვაჟთა გიმნაზიის შენობა.

ლეგიონის ხარდალი ლეო კერესელიძე.

მიწათ-მოქმედების სამინისტრო

ხსნის სამიმდინარეო თებერვლის 17-ს

სასოფლო მეურნეობის საღამოს კურსებს

ორიენ სქესის პირთათვის

სამი განყოფილებით: ჭირნახულის მოყვანის, საქონლის მოშენების (მერძეობითურთ) და მეფუტკრეობის (ძეძოებით მეცნარეებით).

თხოვნას ღებულებენ მიწათ-მოქმედების სამინისტროს შენობაში (პეტრე დიდის ქ., № 2) შესაფერი ჩვოდან, ესმამე საროვით) პირველი სააათიდან სამ საათამდე.

თხოვნასე ორი თითო მანეთიანი მარკა უნდა იყოს დაკრული. 178 10—8

კონეგის ცეცხლიდან ურთიერთ დაზღვევის საზოგადოების გამგეობა

ამით აცხადებს, რომ წლიური ანგარიში 1918 წ. საზოგადოების მდგომარეობის შესახებ წიგნებთან და დოკუმენტებთან ერთად, წესდების მე 36 § ძალით, განხილული გამგეობაში დამზღვეთა განსახილველად. 238 1—1

ოფიციალური განცხადებანი

კანონი

მიწადმოქმედების სამინისტროს განკარგულებაში სავოცდა ერთი ათას ხუთასი მანეთის გადაცემისა.

1. გადადებულ იქნეს მიწადმოქმედების სამინისტროს განკარგულებაში სამოცდა ერთი ათას ხუთასი მანეთი (61,500 მ.) საწარმოებლად იმ წინასწარ მუშაობისა, რომელიც სჭიროა რესპუბლიკის სახელებში მიხერილ წყლების სახელმწიფოს განკარგულებაში გადასასვლელად თანხმად ამ კანონით დართულ ნუსხისა.

2. ეს კანონი ძალაში შედის დღიდან მიღებისა საქართველოს პარლამენტის მიერ.

ხ 1919 წ. იანვრის 30-ს.

აღმართველოს პარლამენტის თავმჯდომარის ამხანაგი ექვ. თაყაიშვილი.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე ნ. ჟორდანია.

კანონი

ათ მილიონიან ფონდიდან დახარჯული 9.391.261 მან. 31 კ. აღდგენისა.

1. ათ მილიონიანს ფონდიდან, რომელიც გადადებული იყო 1918 წლის დეკემბრის 17-ს მთავრობის განკარგულებაში, ცხა მილიონ სამას ოთხმოცდა თერთმეტი ათასი ორას სამოცდა ერთი მანეთისა და 31 კ. ვანაწილება კიდევაც უშუალოთ შორის მთავრობის მიერ 1918 წლის ნოემბრის 28-დან—დეკემბრის 24 მდე—დამტკიცებულ იქნეს.

2. აღდგინილ იქნეს ხაზინის თავისუფალ თანხიდან ათი მილიონის ფონდი უკვე განაწილებულ ზემოხსენებული თანხის ცხა მილიონ სამას ოთხმოცდა თერთმეტი ათას ორას სამოცდა ერთი მანეთის და 31 კაპ. (9.391.261 მან. 31 კაპ.) გადდებით.

3. ეს კანონი ძალაში შედის საქართველოს პარლამენტის მიერ მიღების დღიდან.

1919 წ. იანვრის 30-ს.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის ამხანაგი ექვ. თაყაიშვილი.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე ნ. ჟორდანია.

კანონი

1912 წლის ივნისის 9-სა და 1914 წლის ივნისის 28-ს კანონთა გაუქმებისა.

1. გაუქმებულ იქნეს 1912 წლის ივნისის 9-სა და 1914 წლის ივნისის 28-ს კანონები ხაზინის და საბაჟოს მოხელეთათვის სადღესასწაულო საჩუქრების გაღებისა.

2. ეს კანონი ძალაში შედის 1918 წლის დეკემბრის პირველიდან.

1919 წ. იანვრის 30-ს.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის ამხანაგი ექვ. თაყაიშვილი.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე ნ. ჟორდანია.

კანონი

ამიერ-კავკასიის ბონების გამოცემის განკარგობისა და საქართველოს ხაზინის ბონების გამოცემისა.

1. ნება მიეცეს მთავრობას გამოსცეს ამიერ-კავკასიის ბონები საქართველოს რესპუბლიკის საერობებისათვის კიდევ ოთხმოცი მილიონი მანეთისა.

შენიშვნა: უფლება მიეცეს მთავრობას პარლამენტის საფინანსო-სამეურვეო კომისიასთან შეთანხმებით შემოიღოს ემისიაში ახალ-ახალნი, სომხეთის და კავკასიელ მილეტთა კავშირის რესპუბლიკები და შესაფერისად გადიდოს სემისიო თანხა.

2. ნება მიეცეს მთავრობას სომხეთ-საქართველოს კონტრერეციის დადგენილების თანახმად სომხეთის რესპუბლიკისთვის მესამე ემისიიდან კუთვნილი ოთხმოცი მილიონი მანეთი გამოსცეს.

3. ნება მიეცეს მთავრობას, თუ საჭიროდ დაინახავს, პალატნების საფინანსო-სამეურვეო კომისიასთან შეთანხმებით, გამოსცეს საქართველოს ხაზინის ბონები ასი მილიონ მანეთისა.

4. საქართველოს ხაზინის ბონები გამოიცეს დრონდინ, სანამ შემოლებულ იქნება საქართველოს რესპუბლიკის საკუთარი ფული, როდესაც საშუალებით ბონები გამოყიდულ უნდა იქნეს.

5. საქართველოს ხაზინის ბონები უზრუნველყოფილია საქართველოს რესპუბლიკის მთელი ქონებით.

6. საქართველოს რესპუბლიკის საზღვრებში საქართველოს ხაზინის ბონები მიიღებიან თანაბრად რუსეთის ფულის ნიშნების და ამიერ კავკასიის კომისარიატის ბონებისა.

7. საქართველოს ხაზინის ბონები გამოიცემა ბერთის, სამის, ხუთის, ათის, ოცის ხუთის, ორმოცის ათის, ასის და ხუთის მანეთის კუპიურებისა.

8. საქართველოს ხაზინის ბონები დამზადებულ უნდა იქნეს ფინანსთა მინისტრის განკარგულებისამებრ და გადაეცეს ტულოსის ხაზინის შესანახად და ხმარებისათვის გამოსაშვებად.

9. საქართველოს ხაზინის ბონი, რომელსაც ერთი შესწვდა ადგილი არ შეჩერენია ბეჭდის მოწერა, ან ნომერი, უფარგისად ჩაითვლება და არ მიიღება.

10. ეს კანონი ძალაში შედის დღიდან მიღებისა პარლამენტის მიერ.

1919 წ. იანვრის 30-ს.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის ამხანაგი ექვ. თაყაიშვილი.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე ნ. ჟორდანია.

შენიშვნა.

გაზ. „საქართველოს რესპუბლიკის“ მე № 26 გამოქვეყნებულ სახელწოდება საადგილმამულო ფონდიდან მცხოვრებთათვის მაუღის კერძო საკუთრებად მიცემის კანონში შემდეგი შეცდომებია:

1, —გამოტოვებულია სათაურში სიტყვა: „კანონი“.

2, —მე-17 მუხლის პირველ სტრიქონში დაბეჭდილია: „განაწილებული“. უნდა იყოს: „განაწილებული“.

3, —იმავე (17) მუხლის მეცამეტე სტრიქონში—დაბეჭდილია „დასმებულად“.—უნდა იყოს „დახაჭაყოფილებულად“.

გაზ. „საქ. რესპ.“ მე-33 № 1919 წ. თებერვლის 11-ს გამოქვეყნებული უსაღრეცო დაწყვეტილი სკოლებში მოსაწვლელად დაწყვეტილი სკოლებში მოსაწვლელად დაწყვეტილი პირთა ნივთიერი მდგომარეობის გაუწყობილობის დროებით დებულების ტექსტში, სხვათა შორის, შემდეგი თვალსაჩინო შეცდომაა:

მე-7 ხუთლის მე-3 სტრიქონში დაბეჭდილია: „ორმოცი“, უნდა იყოს „ოთხმოცი“.

იმავე № ში გამოქვეყნებული საკმარეთო სკოლის შტატში—სიტყვა „გიმნასტიკის“ გასწორება—მე-5 სეტში დაბეჭდილია: „3900“ უნდა იყოს: „3920“.

გაზ. „საქ. რესპუბლიკის მე-31 № ში (თებერვლის 8) გამოქვეყნებულ გამანაზის ერთკომპლექტიანი შტატს შეცდომით სათაურად „ვაჟთა გიმნაზიის ერთ-კომპლექტიანი შტატი“ აწერია უნდა ეწეროს: „ქალთა გიმნაზიის ერთ-კომპლექტიანი შტატი“.

იმავე შტატში მე-23 სტრიქონში შეცდომით დაბეჭდილია: „ცდებისათვის“ უნდა იყოს: „ცდიხათვის“.

მოკალაქენო! არ დაივიწყოთ, რომ დღეს, ხვალ და ზეკ საქართველოს რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების არჩევნებია!

მეთვრეის გრძანება

მთავრობის თავმჯდომარემ შემდეგი ბრძანება გასცა რკინის გზის მფლობიელის უფროსის სახელზე: ვინაიდან რკინის გზებზე ხდება ბარგის და ტვირთის მასიური ქურდობა, როგორც ჯუთიური შემთხვევები რკინის გზის მოსამსახურენი და გადამტვირთველნი სჩადიან, წინადადებას გაძლევთ ამ პროიოქმის ადმოსაფხვრელად მიიღოთ მოსამსახურეთა და გადამტვირთველთა წინააღმდეგ მეტად ენერგიული ზომები. მოეთხოვოთ პასუხი მათ, ვის პასუხისმგებლობასაც ბარგი ან ტვირთი იყო მიებულები. დანიშნეთ ადმინისტრატორი წესით დაამატიმრეთ და სადაც საბუთები იქნება სასამართლოს მისცეთ.

ამასთან ერთად თქვენ გენეკებით უფლება, როგორც ზემო ადნიშნულ პროიოქმებით პირნი, ავრეთვე ყოველივე ის პირნი, რომელნიც რაიმე ზიანს აყენებს რკინის გზას დაპატიმრონ ცოცხები, სადაც ისინი იქნებიან ჩარიცხულნი თქვენ განკარგულებაში; თვითეული ასეთი შემთხვევა ეცნობოს შინაგან საქმეთა მინისტროს.

სომეხ ლტოლვილთა მოსვლა.

კერძო ცნობებით სტამბოლიდან და ბათომით სომხეთში მოეწყვეტიან სხვა და სხვა ადგილებიდან 150.000 ლტოლვილი. პირველ ლტოლვილთა რიგის მისაღებათ ბათომში ამზადებენ 500 კაცისათვის საჭირო შენობას.

გრძანება

ქ. ტფილისის, მის მიდამოების და ბორჩალოს მაზრის გენერალ-გუბერნატორისა.

საქართველოს დემოკრატიულ მთავრობის ბრძანებით ამ თვის 11 რიცხვიდან მე-16 № ით მე დანშეულ ვარ ბორჩალოს მაზრის გენერალ-გუბერნატორის ტფილისის და მის მიდამოების გენერალ-გუბერნატორის თანამდებობის აღსრულების გაგრძელების დენიშნულ რაიონში ყველა საზედაო ძალების და სამოსალო დაწესებულების დამორჩილებით.

გასაგონრობილად ყველ გვარი ბრძოლა. მომქმედი გამოსულია და მყუდროების დარღვევისა მორჩილის ხანაში ვინმეებს, პირადად ყოველსა მაფუძნებელ შესაკრებლებთ დაიცვან სრული მყუდროება და ყველნი დარწმუნებული, რომ ყოველ გვარი მტრული გამოსულება, ვისაგანაც არ უნდა იყოს, წინააღმდეგ არსებულ წესწყობილებისა და მცხოვრებების უზრუნველყოფობისა, იქნება სასტიკად დასჯილი სამედრო კანონების ძალით.

ვთწუობ მცხოვრებებთან, რომ ბორჩალოს მაზრის კომისრათ დანიშნულია ავქსენტი ფარანოზის ძე ივანიძე, რომელსაც ჩემ მიერ მიცემული აქვს განსაკუთრებული მინდობილებანი ადმინისტრატიულ მართველობის სფეროს მისამაღი რწმენებულ რაიონში, რის გამო ყველ ვგარ ადგილობრივ საკითხებს გამოსარკვევად უნდა მიმართოთ მას.

განსაკუთრებულ საკითხების გამო გთხოვთ **ადნიშნულ კომისარის საწყლებით მიმმართოთ** მე.

ვსწავლი, რომ ბორჩალოს მაზრის მცხოვრებნი გამოიჩენენ საკმაო კეთილ გონიერებას ღმოფერინის დახმარება მთავრობის განკარგულებებს და უეჭველსთ დაემორჩილენ ბის კანონიერ მოთხოვნილებებს, რის გამო ბოროტ მოქმედ ელემენტებს და მტრებს რესპუბლიკისს არ ექნებათ საშუალება შეიტანონ არც დარეგი მცხოვრებთა შორის.

გენერალ-გუბერნატორი ზ. მაღლაკელიძე.

12 თებერვალი 1919 წ.

ქ. ტფილისი.

საკალდებულო დაგვინდება.

ტფილისის და მისი მიდამოების და ბორჩალოს მაზრის გენერალ-გუბერნატორისა, გამოცემული თანახმად წეს-დებისა, შესახებ იმ ადგილებისა, სადაც გამოცხადებული საბრძოლო წესები.

განმეორებით მოვგონებ ქ. ტფილისის მცხოვრებთ ჩემს მიერ დღე გამოცემულ საკალდებულო დადგინებულებ იმის შესახებ, რომ ყოველგვარი კრებები, მანიფესტაციები და მიტინგები, რომელსაც არა აქვს პირდაპირი დამოკიდებულება მომავალი საქართველოს დამფუძნებელ კრებასთან, აკრძალულია, თუ კი მასზე ყოველ კერძო შეთხვევაში არ იქნება ალებული სათანადო ნებართვა.

ამ საკალდებულო დადგინებების დამრღვევნი დაისჯებიან ადმინისტრატიული წესით ციხებში დაპატიმრებით 1½ წლამდე ან დაჯარიმებით 10.000 მანეთამდე.

ეს დადგენილება შედის ძალაში დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

გენერალ-გუბერნატორი ზ. მაღლაკელიძე.

13 თებერვალი 1919 წ.

ქ. ტფილისი.

მოკალაქენო! ამ ისტორიულ დღეებში ჩქარ არავითარი უფლება არა გაქვთ შეკარნაკეველთან ისხდეთ! მიაშურეთ საარჩევნო ყუთებს! არ დაგვიგვიან ხვა!

შრომის სამინისტროში

მიმდინარე წლის 5 თებერვალს შრომის სამინისტროში შრომის მინისტრის ამხანაგ ივანიის თავმჯდომარეობით შეიქმნა თათბირი, რომელსაც დაესწრენ წარმომადგენელნი ბორჩალოს მაზრების მეშუბისა—ე. ზაქარაძე და ალ. კრავეიცი და გიგი ამ მაზრეებისა—ვ. ლ. ხუნდაძე, ნეშაოა შრომის ხელ-სის მოწყობის საკითხის შესახებ.

მეშუთა წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ მაკოლის ადმინისტრაციაც წესიერათ არ ასრულებს დადებულ პირობას პურის მიწერის შესახებ და ამიტომ ისინი თანახმანი კოლექტიურ ხელშეკრულებისა, მოითხოვენ, რომ შრომის ხელ ფასი მეშუბისა 150 მანეთით გადიდებულ იქნეს თვეში, როგორც მომატება გამოწვეული სიძვირის გამო, რის შემდეგ მაშულების ადმინისტრაციაც შემდეგში განთავისუფლებულ იქნება მეშუთა პურის მიწერის მოვალეობიდან და გარდა ამისა ანგარიშვალდებულ მათ ყველა ის ზარალი, რაც მეშუბეს მოუვიდათ ამნაირ არა წესიერ პურის მიწერის გამო თანხმათ ხელშეკრულებისა.

მაშინების გამგემ განაცხადა: მართალია ადმინისტრაციია რიგზე არ ასრულებდა პირობას, კოლექტიურ ხელშეკრულებით დადებულს, მაგრამ იგი არ ეთანხებოდა მეშუბეს იმ ზარალის რაოდენობაში, რომელიც მეშუბეს მოეყიდათ და აგრეთვე იმ მოთხოვნაში, რომ ხელი საფუძვლად უფლეს პირობის შეურყეველობას. იმ და საერთო სახელშეკრულებო პირობებმა ხელი შეუშალეს ამას ღ ამიტომ არ შეიძლება მთელი დანაშაული ადმინისტრაციას მოაბრალოთ თავზე. რაც შეეხება შრომის ხელფასის გადიდებას, ეს ყოველთ შეძლებელია, ვინაიდან ბორჩალოს

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღეს, ხვალ და ზეგ საქართველოს დამფუძნებელი კრების არჩევნებია

მოქალაქენო! ამ დღეს უნდა გადასწყდეს საქართველოს ბედი!

თქვენ თვითონ უნდა გამოსჭედოთ იგი!

საქართველოს ერთი დიდი მტერთაგანი იქნება არჩევნებისადმი გულგრილობა!

ამ საბედისწერო მომენტში, როდესაც მრავალი მტერი გარს გვახვევია და სიკვდილით გვემუქრება,

საქართველოს მოქალაქენო, თქვენ უნდა გასცეთ მათ შესაფერი პასუხი!

იქ, სადაც იარაღია საჭირო,—იარაღით ხელში და იქ, სადაც სიტყვაა—სიტყვით.

დამფუძნებელ კრების არჩევნებში თქვენ უნდა გამოსთქვათ თქვენი მტკიცე სურვილი და უდრეკი ნება

საქართველოს დამოუკიდებელ რესპუბლიკის და დემოკრატიულ წესწყობილების დასაცავათ.

ერთ წუთსაც არ დაივიწყოთ, რომ დამფუძნებელი კრების არჩევნები უდიდესი მოვლენაა ჩვენი ერის ცხოვრებაში!

არჩევნების დღეებში არც ერთი არ დარჩეთ შინ!

ყველამ მიაშურეთ საარჩევნო ყუთებს! არც ერთმა არ დაჰკარგოთ ხმა!

მამულს არავითარი რესურსები და შემოსავალი არ მოეპოვება გარდა მრეწველობის შემოსავლისა, და თუ ეს მრეწველობა იმდენს შემოსავალს არ მისცემს, რომ თავის ხარჯები დაფაროს, მაშინ ამ მრეწველობის სრული ლიკვიდაცია უნდა მოხდეს.

მინისტრის ამხანაგმა ერაძემ წინადადება მისცა ორთავე მხარეს, რომ მთავარი და სადავო საკითხები ამჟამათ არ იყოს განხილული და გადაწყვეტილი, ვინაიდან ბევრ დროს მოითხოვს, რომელიც თათბირს არა აქვს, რადგანაც როგორც თათბირის მონაწილეთ, ისე იმ ორგანიზაციებსა და პირებს, რომელთაც მონაწილეობა უნდა მიიღონ ამ საქმეში გართულნი არიან დამფუძნებელ კრების არჩევნებით და მაშასადამე არ შეუძლიათ ნორმალურ პირობებში აწარმოვონ საჭირო სამუშაო ამ საკითხის გადასაწყვეტათ. რაც შეეხება მუშათა შრომის ხელფასს,—ეს ეხლავ შეიძლება გადასწყდეს და მოემატოთ მუშებს 150 მან., როგორც მომატება გამოწვეული სიძვირისა გამო და ადმინისტრაცია განთავისუფლებული იქმნეს მუშათა პურის მიწვდის მოვალეობიდან. მომატება მიმდინარე წლის 1 თებერვლიდან უნდა მოხდეს და ამ თვის გასულს მიეცეთ როგორც ამ თვის პირველის, ისე მეორე ნახევრის ფული. დამფუძნებელ კრების გათავების შემდეგ კი შესდგეს კომისია შრომის სამინისტროს, ამ მამულის მუშათა და ადმინისტრაციის წარმომადგენელთაგან; ამ კომისიამ ბორჯომში ადგილობრივ უნდა გამოარკვიოს საქმის მდგომარეობა და აგრეთვე განიხილოს, როგორც მუშათა მიერ აღძრული საკითხი, ძველ ზარალის ანაზღაურების შესახებ ადმინისტრაციის უწესრიგოთ პირობის შეუსრულებლობის გამო პურის მიწვდის საქმეში, აგრეთვე ადმინისტრაციის მიერ წამოყენებული საკითხი მრეწველობის ზარალიანობისა და მის ლიკვიდაციის შესახებ. მუშათა წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ იგინი პირადათ თანახმანი არიან შრომის მინისტრისა, მაგრამ ვინაიდან მათ თვის ამხანაგებისაგან რწმუნების ბარათი არა აქვს მიცემული კატეგორიულ პასუხის მიცემაზე, ისინი წავლენ ჯერ ბორჯომში, გადასცემენ მუშებს ამ წინადადებას და მათ გადაწყვეტილებას აცნობებენ შრომის სამინისტროს.

ბ. გრ. ხუნდაძეც დაეთანხმა შრომის სამინისტროს წინადადებას იმ პირობით, რომ წამოყენებული საკითხი უსათუოდ იქნება გადაწყვეტილი.

მოქალაქენო! ამ გარდამწყვეტ მომენტში თქვენ არ შეგიძლიათ გულ ხურვალეთ არ ჩაებათ საარჩევნო ბრძოლაში! თქვენ არ უნდა დაჰკარგოთ ხმა! გულგრილობა ჩვენი დიდი მტერი იქნება! ყველა გამოცხადდით საარჩევნო ყუთებთან!

საგარეო საქმეთა სამინისტროში

დაპატიმრების გამო.

სოფასთან მომხდარ ამბების გამო ტფილისში დატუსაღებულ იქმნენ რამოდენიმე სომხის აფიცრები, გენერალი არეშევი და პოლკ. მელიქ-მურადოვი. ამის გამო სომხის სამშვიდობო დელეგაციამ მიმართა საქართველოს გარეშე საქმეთა მინისტრს და წინადადება მისცა ისინი გაანთავისუფლონ და შემდეგში ეს არ განმეორდეს.

ბონები.

სომხეთსა და საქართველოს შორის მოხდა შეთანხმება ბონების მე-4 ჯერ გამოშვების შესახებ. გამოშვებულ 320 მილ. ბონებიდან 160 მილიონი სომხების იქნება, ამაში აგრეთვე ის 80 მილიონი მანეთის ბონებიც, რომელიც წინათ გამოშვების დროს სომხებს არ მიუღიათ.

საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქენო! თქვენ კარგათ იცით, რომ ჩვენი მტრები ჩვენს დემოკრატიულ რესპუბლიკის წინააღმდეგ საზიზღარ განგაშს სტეხენ და ლამობენ ჩვენი თავისუფალი არსებობა ჩაახრჩონ! თქვენ უნდა მიხვიდეთ საარჩევნო ყუთებთან და უნდა გამოსთქვათ მტკიცე ნება საქართველოს დამოუკიდებლობისა და დემოკრატიულ რესპუბლიკის დასაცავათ.

ფოსტა-ტელეგრაფი

დამოკიდებულება სომხეთთან.

გარეშე საქმეთა სამინისტრომ აცნობა სომხეთის სამშვიდობო დელეგაციას რომ 15 დეკემბრიდან სომხეთსა და საქართველოს შუა აღდგენილ იქნება ფოსტა-ტელეგრაფის ურთიერთობა.

აიბგის ფოსტა-ტელ. კანტორა.

ტფ. ფოსტა-ტელეგრაფის უფროსი სთხოვს შინაგან საქმეთა სამინისტროს, ვინაიდან სოჭის ოლქის სოფ. აიბგის მცხოვრებთ არ სურთ თვის ხარჯით შეინახონ ფოსტა-ტელეგრაფის კანტორა, უბოძოს განკარგულება მის დახურვის შესახებ.

ინგლისელების დეპეშების შესახებ.

საქართველოს რკინის გზების უფროსმა განკარგულება მოახდინა, რათა რკინის გზის ტელეგრაფმა ნისიათ მიიღოს რკინის გზის ტელეგრაფის სადგურებზე დეპეშები ინგლისის ჯარის ნაწილების უფროსებისაგან და აგრეთვე ინგლისის მისიისაგან. ტელეგრაფის მანქანებით მათ მოლაპარაკება გადაცემულ უნდა იყოს ბარათებით და ფასი უნდა უანგარიშონ დაწესებული საშურო დეპეშის ფასით.

არჩევნების გარშემო

კონვერტები არ დარიგდება.

კონვერტები დამფუძნებელ კრების არჩევნებისათვის ბინებზე არ დარიგებულა და არც დარიგდება. კონვერტების მიღება შეიძლება მხოლოდ საარჩევნო ყუთებთან არჩევნების დღეს.

დუშეთის და ახალციხის მაზრაში.

ახალციხიდან ცენტრალ საარჩევნო კომისიას ატყობინებენ, რომ ახალციხეში და ახალქალაქში მომხდარ ამბების გამო არჩევნები ვერ მოხდება.

დუშეთის მაზრიდან იტყობინებიან, რომ ყაზბეგისა და გუდაურის რაიონებში დიდი თოვლის გამო არჩევნები ვერ მოხდება.

ბორჩალოს მაზრაში.

დამფუძნებელ კრების ცენტრალურ საარჩევნო კომისიის ინსტრუქტორი ბ-ნი სირბილაძე დეპეშით აცნობებს ცენტრალურ კომისიის თავმჯდომარეს, რომ ბორჩალოს მაზრაში უკვე შეუდგნენ საარჩევნო სიების შედგენას და იმედი აქვს ეს მუშაობა მალე დაამთავროს და ამ მაზრაში მოახდინოს არჩევნები ეროვნულ და დამფუძნებელ კრებისა.

საარჩევნო ხრიკები.

12 თებერვალს ამომრჩეველმა ბეროძენიშვილმა დამფუძნებელ კრების ცენტრალურ საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს გამოუცხადა, რომ იმ დროს, როცა იგი სახლში არ იყო, მის ბინაზე (ელისაბედის ქ., № 106) 2 გიმნაზიის ტანისამოსში ჩაცმული ქალი და ერთი ახალგაზდა ყმაწვილ კაცი მისულან და მოუკითხავთ მის სახლობისაგან პირადობის ბარათის ჩვენება, გამოუკითხავთ რომელ ნომერს აძლევენ ხმას და დატყუებით პირადობის ბარათის მაგივრათ დაუტოვებიათ ბიულეტენი № 5. მათვე იმავე სახლში ოთხ მობინავეთა ამომრჩევლების კოჯახისაგან (ხომერიკების და დოლიძის) დატყუებით ჩამოურთმევიათ პირადობის ბარათები გამოსაცვლელათ, № 5 ბიულეტენები დაუტოვებიათ და წასულან. ამ პირთა აღმოსაჩენათ ზომებია მიღებული, მათ პასუხის გებაში მისაცემათ.

როგორ უნდა შეადგინონ ოქმები მომუშავე კომისიებმა.

I

სამაზრო კომისიამ: 1) კომისიის შემადგენლობა (გვარი და სახელი) 2) პარტიული შემადგენლობა; 3) როდის დაიწყო მუშაობა ხმების დასათვლელად; 4) რომელი სოფლის საზოგადოების კომისიის ოქმი დაამტკიცა მთლიანად; 5) რომელი სოფლის საზოგადოების კომისიის ოქმში შეიტანა ცვლილება, ან რა და რად. 6) რამდენი ხმა მიიღო თითოეულმა სიამ მაზრაში ცალ ცალკე; 7) რამდენი ხმა იქნა კანონიერად ცნობილი უდავოდ მთელს მაზრაში; 8) რამდენი ხმა იქნა გაბათილებული და რად; 9) რამდენი ხმა იქნა ცნობილი კანონიერად და რამდენი გაბათილებული ხმის უმრავლესობით; 10) ყველა ერთხმად გაბათილებული ბიულეტენები ან კანონიერად ცნობილი და გაბათილებული ხმის უმრავლესობით გადმოგზავნილ უნდა იქნეს ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში; 11) ამომრჩეველთა რიცხვი მთელს მაზრაში და სულ რამდენმა მიიღო მონაწილეობა.

II

სოფლის საზოგადოების კომისიამ: 1) შემადგენლობა სოფლის საზოგადოების კომისიისა (გვარი და სახელი); 2) პარტიული შემადგენლობა; 3) როდის და რა რიცხვში გახსნა კრება კომისიამ; 4) რომელი საარჩევნო უბნის კომისიის ოქმი განიხილა; 5) ვინ ხსნიდა კონვერტებს; 6) ვინ სთვლიდა ხმებს; 7) რამდენი ხმა იყო მიცემული საერთოდ; 8) რამდენი ხმა მიიღო თითოეულმა საკანდიდატო სიამ ცალკე; 9) რამდენი ბიულეტენი გაბათილებულ იქნა და რა მიზეზით; 10) თითოეულ სიის მიერ მიღებული ბიულეტენები უნდა წაიღოს ცალ-ცალკე კონვერტებში ან შეკრას ბაწრით, დაილუქოს და გადაგზავნოს სამაზრო კომისიაში. ზედ დაწერილი უნდა იქნეს ნომერი სიისა და მიღებულ ხმათა რაოდენობა, აგრეთვე გაბათილებულ და საეჭვოთ ცნობილ ბიულეტენთა რაოდენობა; 11) ამომრჩეველთა რაოდენობა სოფლის საზოგადოებაში და რამდენმა მიიღო მონაწილეობა არჩევნებში.

III

სოფლის წვრილ ერთეულის კომისიამ: 1) საარჩევნო უბანი. 2) კომისიის შემადგენლობა (გვარი და სახელი) 3) პარტიული შემადგენლობა 4) რა დროს გახსნა და დახურა სხდომა კომისიამ 14, 15 და 16 თებერვალს. 5) შეამოწმა თუ არა კომისიამ საარჩევნო ყუთის სიცარიელე და მთლიანობა. 6) იყო თუ არა შენობა ღია დილის რვა საათიდან საღამოს რვა საათამდე. 7) რამდენი ამომრჩეველი იყო შეტანილი სიაში 8) ჩამოერთვა თუ არა ვინმეს ხმის მიცემის უფლება და თუ ჩამოერთვა ვის და რად. 9) მიიღო თუ არა მონაწილეობა არჩევნებში ისეთმა პირმა, ვინც შეტანილი არ იყო სიაში და თუ მიიღო რა საბუთით. 11) რამდენმა მიიღო მონაწილეობა არჩევნებში. 12) ეთანხმებოდა თუ არა რა მიზეზით. 13) იბეჭდებოდა თუ არა ლუქით 14 და 15 თებერვალს საარჩევნო ყუთი და შენობის კარები. 14) ამოწმებდა თუ არა კომისია ბეჭდის მთლიანობას ყუთზე და კარებზედ 15 და 16 თებერვალს დილით და თუ რაიმე ცვლილება ნახა ბეჭედზე რა და როგორი, 15) ჰქონდა თუ არა ადგილი კანონის რაიმე საწინააღმდეგო მოვლენას და თუ იყო ასეთი რამ, სახელდობრ რა. 16) ბიულეტენების გასაბათილებელ მიზეზად არ უნდა ჩაითვალოს სხვა და სხვაობა ქაღალდის ფერისა და ფორმატისა. ამასთანავე გაცნობებთ: 1) კონვერტები უნდა მიეცეთ ამომრჩეველთ არჩევნების დღეებში. 2) საარჩევნო შენობაში უნდა იყოს ყველა პარტიის ბიულეტენის მცირე რიცხვი მაინც. 3) თუ ბიულეტენები შემოაკლდეთ, უნდა მიეცეთ ამომრჩეველთ სუფთა საწერ ქაღალდის მე-16 ნაწილი საკანდიდატო სიის ნომრის დასაწერად.

ალ. ლომთათიძე.

მოქალაქენო! თავისუფალი სამშობლო მოგიხმობთ თქვენ აასრულოთ თქვენი მოქალაქობრივი მოვალეობა! არჩევნების დღეებში ყველამ გასწიეთ საარჩევნო ყუთებისაკენ!

„პოალეი-ციონი“.

ტფილისის ებრაელთა სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიის „პოალეი-ციონი“ ორგანიზაციის საზოგადო კრებამ, გაარჩია რა კითხვა დამფუძნებელ კრების არჩევნების შესახებ ხმის უმეტესობით დაადგინა: ორგანიზაცია სთვლის თავის მოვალეობად მიიღოს აქტიური მონაწილეობა დამფუძნებელ კრების არჩევნებში, რომელმაც უნდა განამტკიცოს საქართველოს ეროვნული თვითგამორკვევის ფორმა. არ გამოდის რა ორგანიზაცია თავი-

-ხი საკუთარი სიით, სთვლის შესაძლებლად ხმა მისცეს საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიის სიას, თუმცა უკანასკნელის ტაქტიკას, როგორც მმართველი პარტიისას სავსებით არ იზიარებს.

საზოგადო კრება ავალებს კომიტეტს მიმართოს მოწოდებით ამხანაგებს და ყველა თანამგრძნობ მოქალაქე ებრაელებს, მიიღონ აქტიური მონაწილეობა დამფუძნებელ კრების არჩევნებში და ხმა მისცენ საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ სიას—პირველ ნომერს.

ყველგან გაათრებული ანარქია მძვინვარებს! ყველგან ტყვიის წვიმაში და სისხლის ტბებში იხრჩობა ხალხი! ყველგან განადგურდა რევოლიუცია! თავისუფლება ყველგან საზარჩობელაზე აიყვანეს! მხოლოდ ჩვენში განმტკიცდენ რევოლიუციის მოპოვებანი! დაიცავით იგი!

სოჭის ოლქში

სამხედრო მოქმედების შეწყვეტა.

საქართველოს რესპუბლიკის გენერალური შტაბის ცნობით, შავი ზღვის პირას ინგლისის სარდლობის შუამავლობის შემდეგ სამხედრო მოქმედება შესწყდა, როგორც ჩვენი, ისე მათი მხრივ. ჩვენს ჯარებს უკავიათ პოზიციები მდინარე ბზიბაზე.

ახალციხის მაზრაში

ჩვენი ჯარის უკან დახევა და ახალციხის დატოვება.

ახალციხის მაზრაში 11 თებერვალს, ასკერთა და აჯანყებულ მცხოვრებთა უმეტეს ძალების იერიშების შემდეგ, ჩვენი ჯარი, რომ მას გზა არ მოსჭროდა უკან, ზურგში ამბოხებულ მუსულმან მცხოვრებთა მიერ, იძულებული გახდა უკან დაიხია. ქალაქი ახალციხე მოწინააღმდეგემ დაიკავა.

საქართველო— დამოუკიდებელი დემოკრატიული რესპუბლიკაა! მრავალი მტერი გარს გვახვევია და განადგურებას გვიქადის! საქართველოს თანამედროვე განვითარებული დემოკრატია ვერავის დაუთმობს მას! დამფუძნებელი კრების ამ არჩევნებში ერთჯერ კიდევ უნდა გამოსთქვას მან თავისი მტკიცე ნება მიმართული საქართველოს დამოუკიდებელ დემოკრატიულ რესპუბლიკის დასაცავათ.

მუნიციპალური ცხოვრება.

მოკლულ გვარდიელთა ოჯახთათვის შემწეობა

სახალხო გვარდიის შტაბის წარმოდგენისამებრ ქალაქის გამგეობამ ას-ასი თუმანი შემწეობა დაუნიშნა მოკლულ სახალხო გვარდიელ ზაქარია ზაალიშვილის ქვრივს, მოკლულ გედეონ ბუჩუხაშვილის ძმას, მოკლულ გვარდიელ მელიტონ ცომაიას ქვრივს, მოკლულ გვარდიელ მელიტონ კუჩუხიძეს ქვრივს და მოკლულ გვარდიელ კონსტანტინე ტიგიშვილის დას.

ნაციონალიზაციის გამო

ქალაქის გამგეობამ დაადგინა დათხოვნილ იქნეს სამსახურიდგან ნაციონალიზაციის განხორციელებისა გამო ქალაქის იურისკონსულტი ი. ი. ამირხანოვი და მიეცეს მას წლიური ჯამაგირი დასახმარებლად.

სასურსათო განყოფილების შტატი

ქალაქის გამგეობამ დაამტკიცა ახალი შტატი გამგეობის სასურსათო განყოფილებისა. შტატი ძლიერ შემცირებულია.

დათხოვნილთა შესახებ

ქალაქის გამგეობის უკანასკნელ სხდომაზე ერთ კერძო საქმის განხილვის დროს წარმოსდგა პრინციპიალური საკითხი: უნდა მიეცეს თუ არა სამუშაო ფასი ანუ ჯამაგირი მოსამსახურეთა, რომელნიც გენერალ-გუბერნატორის განკარგულებით სამსახურიდან იყვნენ გადაყენებულნი, იმ დროს, სანამ ისინი იძულებულნი იყვნენ ამ განკარგულებისა გამო უმუშაობაზე. ქალაქის გამგეობამ მსჯელობის შემდეგ გადასწყვიტა, რომ მათ იმ დღეების ჯამაგირი, როდესაც არ მუშაობდენ, არ ეკუთვნით და თუ არ არიან უკანვე სამსახურში დაბრუნებულნი ანუ არ შეიძლება მათი მიღება, მაშინ მათ უნდა მიეცეს მარტო სალიკვიდაციო შემწეობა საერთო ნორმით.

მილიციის შტატის გადიდება

ქალაქის გამგეობამ ნება დართო მილიციის უფროსს მილიციის შტატის გასადიდებლად დანიშნოს კიდევ 8 უბნების კომისრების თანაშემწენი, 2 უფროსი და 4 უნცროსი მილიციონერი. მილიციის შტატის გადიდება გამოწვეულია მით, რომ სახელმწიფოს სასარგებლოდ დაწესებულ გადასახადების და ბაჟის შესაკრებათ არსდება მილიციის საგანგებო განყოფილება.

მილიციელთა ჯამაგირების შესახებ

მილიციის უფროსის და მის სამ თანაშემწეთა ჯამაგირების მომატების საკითხის გადაწყვეტა ქალაქის ეხლანდელმა გამგეობამ გადასდო, სანამ საბჭო ამოირჩევს ახალ გამგეობას.

სამისამართო სტოლი

ქალაქის გამგეობამ მოიწონა წინადადება სამისამართო (Адресный столъ) სტოლის მოსამსახურეთა გადაყვან-გადმოყვანისა ნაციონალიზაციის განსახორციელებლად.

შეურაცხყოფისათვის პასუხისგებაში მიცემა

ქალაქის გამგეობამ დაადგინა მილიციის კომისარის კობახიძის საქმე გადაეცეს ოლქის სისხლის სასამართლოს ბრალმდებელს. კომისარი კობახიძე პასუხისგებაშია მიცემული მისთვის, რომ მან შეურაცხყო სიტყვით და მოქმედებითაც ტრამვაის გზების გამგეობის ინსპექტორი.

საქართველოს დამფუძნებელი კრება უდიდესი მოვლენაა ჩვენს ცხოვრებაში! თავისუფლებისათვის გულდამწვარნო! შემოკრბით მის გარშემო და თქვენი ხმის მიცმით ზურგი გაუმაგრეთ და განამტკიცეთ—საქართველოს დამოუკიდებელი დემოკრატიული რესპუბლიკა!

ქრონიკა

○ დუნიაბალოვის 2 ქალის მკვლელობისათვის დააპატიმრეს რუბენ მელის ალახვერდოვი და მალხასიანი.

○ 12 თებერვალს წყლის პირის ქუჩაზე ანდრიასოვის ხე-ტყის ქარხანაში იპოვეს დამხრჩვალი გვამი ამ ქარხნის გამგის ასლან ყარამაზოვისა. ეჭვით შეიპყრეს ა. გრიგორიანი და გ. გრიქუროვი.

○ გუმბრში გაემგზავრა 34 ვაგონით მოთხე წყება სომეხ ლტოლვილებისა.

○ საგანგებო რაზმმა დააპატიმრა გენერლები მაქსიმოვი და კოზლოვსკი, პრაპორშჩიკი ტუნლუზოვი.

○ ქართული ტან-სავარჯიშო საზოგადოება „შევარდენში" 14 ამა თებერვლიდან განახლდება ვარჯიშობა. ვარჯიშობა იქნება: ორშაბათობით, ხუთშაბათობით და პარასკეობით. ბავშთა განყოფილება საღამოს $5^1/_2$—$6^1/_2$ საათამდე. ქალთა განყოფილება საღამოს 6-$7^1/_2$ საათამდე. ვაჟთა განყოფილება საღამოს $7^1/_2$-$8^1/_2$ საათამდე. მწვრთნელთა განყოფილება კვირაობით დილის $10^1/_2$-12 საათამდე. საზოგადოებაში წევრად მიღებისათვის საჭიროა ორი წევრის თავდებობა.

○ თანახმად 1917 წლის სრულიად საქართველოს საეკლესიო კრების კათალიკოს-პატრიარქის არჩევნების შედეგებისა და საკათალიკოსო და საეპარქიო საბჭოთა განჩინებათა ტფილელი მიტროპოლიტი მაღალ ყოვლად უსამღვდელოესი ლეონიდი ამა წლის თებერვლის 23 აყვანილ იქნება მცხეთის სვეტიცხოვლის ტაძარში სრულიად საქართველოს კათალიკოს პატრიარქის ხარისხზე.

○ ტფილისის ვაჟთა მეორე გიმნაზიაში დანიშნულია გამოცდები ჯარში თავისუფალ შემსვლელთათვის მოწმობების მისაღებად 21 და 22 თებერვალს. თხოვნები სათანადო საბუთებით მიიღება გიმნაზიის კანცელარიაში 20 თებერვლამდე".

○ იბეჭდება და გამოვა თებერვლის დამლევს „შრომის ბირჟის ანგარიში". „ანგარიში" მოთავსებულია შრომის ბირჟის მთელი წლის მუშაობის ანგარიშის გარდა, ცნობები სხვა და სხვა საქართველოს ბირჟების მუშაობაზე. მოთავსებულია აგრეთვე რამოდენიმე წერილი ქართულ და რუსულ ენაზე: საერთოდ შრომის ბირჟებზე უმუშევართა დაზღვევაზე და სხვა. „ანგარიში" შეადგინა ქალაქის შრომის ბირჟის გამგემ ნ. გიკმა; ქართული სტატიები დასწერა შრომის ბირჟის პარიტეტულ კომიტეტის თავმჯდომარემ პ. კახიანმა. „ანგარიში" ღირება ათი მანეთი. ფასი მოხმარდება უმუშევართა უფასო სასადილოს გახსნას.

○ 1 თებერვლის ნაშუადღევის 3 საათზე დუნიბალოვის ბინაზე, ბებუთოვის ქ. № 56 შეიჭრნენ უცნობნი და მხეცურათ ხანჯლით მოჰკლეს, ამ დროს სახლში მყოფნი 2 ქალი ვართანუშა 18 წლისა და ვარსენიკა 13 წლ. მკვლელნი მიიმალნენ. ბოროტ-განმზრახველებმა წაიღეს 70000 მ. ეჭვი შეაქვთ მათ ახლო ნათესავზე.

○ დიდ მთავრის ქუჩაზე № 20 თავის ბინაზე უცნობ ბოროტ მოქმედებმა დაახრჩეს ა. ყარამანოვი.

დღეს, ხვალ და ზეგ საქართველოს დამფუძნებელი კრების არჩევნებია! მოქალაქენო! არ დაჰკარგოთ ხმა! მიაშურეთ ყუთებს!

განცხადებები

რენტგენის და ელექტრონის სნმკურნალო კაბინეთი წითელ ჯვრის რენტგენოლოგის და მიხეილის საავადმყოფოს

ექიმ

ა. ლევენშტეინისა

იღებს ავადმყოფებს $10^1/_2$ 1 საათამდე და 4-იდან 7-მდე კვირა დღის გარდა. შინაგან და ქალთა ფილტვების სატკივრებისთვის. (სპეციალურად გულის, კუჭის და ქრონიკულ ავადმყოფებს ნერვიულ სისტემის და ქალურ სქესობრივ სფეროში.) რენტგენოგრაფია ჩაწერით. დაჭრილები რიგს გარეშე მიიღებიან. კრილოვის ქ სახ. № 5 ბინა № 3. ტელეფონი 12—46 25—8 154

გამოვიდა და იყიდება.

ინჟ. ვ. კაკაბაძის „მრეწველობის განვითარების საკითხი ჩვენში"

206 ფასი 8 მან. 2-2

ს/ს. პოლაკის და ამხ. ადმინისტრაცია აცხადებს, რომ კვირას, თებერვლის 23-ს დილის $11^1/_2$ საათზე ადმინისტრატორის ნაფიც ვექილის ს. ნ. ორდუხანოვის ბინაზე, ლერმონტოვის ქ., № 23, შესდგება პოლაკისა და ამხ. კრედიტორთა საზოგადო კრება, მოსმენილი იქნება ანგარიში და ადმინისტრაციის მოხსენება 1917 და 1918 წ. და არჩეული იქნება ადმინისტრატორის კანდიდატი.

213 2—1

თამარ ივანეს ასული თულაევა აცხადებს, რომ მან დაჰკარგა სადგილ-მამულო ბანკიდან 1919 წ. იანვრის 3-ს მიღებული კვიტანცია № 4. 400 მან. 200 3—1

აუქციონი ტფილისის ქალაქის ლომბარდი აცხადებს, რომ კვირას, თებერვლის 16, ლომბარდის ბინაზე საჯაროთ გაიყიდება ვადაგასული გირაოები, რომლებიც შეიცავს ძვირფას ლითონებს და ქვებს, ლითონის საგნებს, საკერავ მანქანებს, ხალიჩებს, ტყავეულობას, ტანისამოსს და საერთოდ ყოველგვარ მოძრავ ქონებას.

№№ ძვირფას გირაოებისა.

93292, 102488, 102513, 102634, 102825. 102874, 102883, 102901, 102902, 103085, 103096, 103104, 103177, 103216, 103229, 103396, 103480, 103537, 103558, 103760, 103795, 103855, 103898, 108594, 109041, 112635, 113447.

№№ ლითონის და სხვა გირაოებისა.

12226, 13829, 15292, 15393, 15747, 15768, 15770, 15774, 15815, 15821, 15834. 15884, 15895, 15946, 15984, 16022, 16086, 19077. 214 1—1

საყოველთაოდ ცხადდება, რომ ქუთაისის ოლქის სასამართლოს 1918 წ. 25/12 დეკემბრის დადგენილებით, კოოპერატიულ ამხანაგობათა ნუსხაში შეტანილია ქუთაისის მომხმარებელ საზოგადოების „მოპეშველეს"—წესდება, რომელიც დაარსებულია ქ. ქუთაისში, მესხეთის ქუჩაზე. 1—1 137

საყოველთაოდ ცხადდება, რომ ქუთაისის ოლქის სასამართლოს დადგენილებით 1919 წ. ნოემბრის 2-ს კოოპერატიულ ამხანაგობათა ნუსხაში შეტანილია წესდება მომხმარებელი საზოგადოებისა „ქუთაისი", რომელიც დაარსებულია ქუთაისის სადგურზე. 141 1—1

საყოველთაოდ ცხადდება, რომ ქუთაისის ოლქის სასამართლოს დადგენილებით 1 918 წ 13 დეკემბრის კოოპერატიულ ამხანაგობათა ნუსხაში შეტანილია წესდება ბსლევის მომხმარებელი საზოგადოებისა „გაუმარჯოს ძმობას", რომელიც დაარსებულია სოფ. ბოსლევში, შორაპნის მაზ. 140 1—1

სოხუმის მომრიგებელ განყოფილების მოსამართლე 1918 წ. 30 დეკემბრის დადგენილებით, სამ. საქ. წესდ. მე-846 მუხ. თანახმად, ეძებს ელენე თედორეს ასულს მამონტს, რომელსაც ბრალი ედება სასჯ. დებულ. მე-169 მუხ. თანახმად. ყველა, ვინც იცის სად ცხოვრობს მამონტი,ვალდებულია განუცხადოს სოხუმის მომრიგებელ განყოფილების მოსამართლეს. 136 1—1

სოხუმის მომრიგებელ განყოფილების მოსამართლე 1918 წ. დეკემბრის 12-ს დადგენილებით, სამ. საქ. წესდ. მე-846 მუხ. თანახმად ეძებს ქ. სოხუმის მცხოვრებს ატამ-მეხტი-ოღლის, რომელსაც ბრალი ედება სასჯ. დებ. მე 169 მუხ. ძალით. ყველა, ვინც იცის სად ცხოვრობს ატამ-მეხტი-ოღლი, ვალდებულია განუცხადოს სოხუმის მომრიგებელ განყოფილების მოსამართლეს. 135 1—1

რესპუბლიკის ჯარების სამხედრო სასამართლო 1919 წლის 1 თებერვლის დადგენილებით თანახმად სამართლის წესდების 911 მუხ. ეძებს ქუთაისის გუბერნიის, შორაპნის მაზრის სოფ. ლაშის მცხოვრებ ვალერიან ცეკიტაშვილს, რომელსაც ბრალი ედება მეორე ნაწ. 128 და ლიტ. „გ" მე 2 პუნქ. 131 მუხ. XXII წიგნ. ს. დ. კ. 1869 წ. მე-4 გამოცემის ძალით. ყველა, ვინც იცის სად იმყოფება ცეკიტაშვილი, ვალდებულია განუცხადოს რესპუბლიკის ჯარების სამხედრო სასამართლოს, რომელიც იმყოფება ქ. ტფილისში ოლღას ქ. № 48. 3—3 203

დაკარგულია ტფილისის ნოტარიუსის წინამძღვაროვის მიერ დამტკიცებული 29 თებერვალს 1912 წელს ხელშეკრულობა № 2609, დადებული პოპოვებისა და აკოფ კარიპჯანიანის შორის. 203 3—3

კოგანოვი რუვინ მენდელის ძე აცხადებს, რომ მან დაჰკარგა ნასყიდობის სიგელი, რომელიც იყო მიცემული სიმფეროპოლის ნოტარიუსიდან 1887 წელს, № 5, გვერდი 5, და რომელშიაც აღნიშნული იყო, რომ ბერნოვ მენდელევს ეკუთნის ქალ. კერჩში ქალაქის მეორე ნახევარში უძრავი ქონება. ზემო მოხსენებული საბუთი დღიდან განცხადებისა უნდა ჩაითვალოს გაუქმებულად. 202 3—3

ექიმი ი. პ. აზაპლია

შინაგანი ავადმყოფობა.

განსაკუთრებით ავადმყოფობანი გულმკერდისა, ფილტვებისა, სასუნთქისა, ფილტვების აპკისა გულისა და ჯირკვლებისა.

ამოცნობა (დიაგნოზი) და წამლობა ყოველ პლექისა სისხლნაკლულობისა და მალარიის ავადმყოფების მიღება ყოველ დღე გარდა კვირისა საღამოს $4^1/_2$— 6 საათამდე.

პეტრე დიდის ქუჩა № 26. ტელეფ. 5—86.

№ 719.

გ ა მ ც ე ო ბ ა

კონეგის ცეცხლიდან საურთიერთო დაზღვევის

ტფილისის საზოგადოებისა აუწყებს საზოგადოების წევრებს, რომ კვირას, თებერვლის 23 დილის 11 საათზე, საზოგადოების ბინაზე (ველიამინოვის ქუჩ., № 10) დანიშნული **საზოგადო კრება** განხილვა დამტკიცება: 1) გამგეობის 1918 წ. ანგარიშისა, 2) 1919 წ. ხარჯების ხუსხისა, 3) გამგეობის მოხსენება ზედამხედველ კომიტეტის თანხმობით საპოლისო გადასახადის დაარსების შესახებ. 4) მიმდინარე საკითხები, 5) ადმინისტრაციის წევრთა არჩევნები: ა. გამგეობის წევრის ი. მ. ბებუთოვის მაგივრად, ბ. გამგეობის წევრის კანდიდატის არჩევა ა. ა. მირაქოვის მაგივრად, გ. ზედამხედველ კომიტეტის წევრის არჩევა ს. დ. ლისიციანის მაგივრად, დ. ზედამხედველ კომიტეტის არჩევა გ. ა. ჩაიგეშტოვის მაგივრად, ე. სარევიზიო კომისიის ორი წევრისა და ვ. მათი კანდიდატების არჩევა. თუ ზემო აღნიშნული საზოგადო კრება არ შესდგა წევრთა დაუსწრებლობის გამო, ახალი კრება შესდგება 9 მარტს, რომელიც ყოველ შემთხვევაში კანონიერად ჩაითვლება, მიუხედავად იმისა რამდენი წევრიც უნდა დაესწროს მას.

253 1—1

სტამბა საქართველოს წოდებრობისა.

რედაქტორი მ. დ. [illegible]